

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 36

ქ.თბილისი

2021 წლის 2 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 2 აპრილს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა თავართქილაძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ტ. მარგველაშვილის ოქმი, მთავარი მსაჯის ს.აბულაშვილის წითელი ბარათის ოქმი და ვიდეომასალა, ამა წლის 26 მარტს, დიდი 10-ს მატჩზე, ბათუმის „ბათუმი“-სა და თბ „აკადემია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ბათუმის „ბათუმი“-ს მორაგბე მამუკა ნინიძე, მაღალი ბოჭვისთვის (მხრით კონტაქტი სახის არეში), მსაჯის მიერ გაძევებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 29¹ პუნქტის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც წითელი ბარათის მიმღები მორაგბე ავტომატურად ტოვებს 1(ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ არ დააკისრა ბათუმის „ბათუმი“-ს მორაგბეს მამუკა ნინიძეს, დამატებითი სანქცია.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/